ლალი ყარალაშვილი

ჰაერი, წყალი და... ცოტა მზე!

ლირიკა

გთავაზობთ მშვენიერი პოეტი ქალის, ლალი ყარალაშვილის ნაკადულივით ანკარა, ჰაერივით გამსჭვირვალე და მზის სხივებივით წრფელი ლირიკული ლექსების კრებულს.

რედაქტორი ლეილა ბაგრატიონი (ბაბადიში)

ეძიებდა ლოდის ულტიმატუმ

.....

გულის მოკვეთილი გაჩენილია,
ულტიმატუმის გაჩენილია,
ნისლიანობაში ხაძინილია გული!

...ვინ ვიცოდით,
აკიცლილებულან ჩვენი ფესვები,
ოცი მიწის ვინ ჩაფესვებით,
ვინ ჩაფესვებით!

ასალი გვიღირდეს ანაკა შანთაია,
ანაკა საგანძე ღა ანაკა ქუთი,
ვინ გვესტუმრებოდეს შუბლზე თეკი,
ჩვენი მაძულის ტრიმა ღა ქანი!

.....

ლალი ყარალაშვილი

ჰაერი,
წყალი და...
ცოტა მზე!

ღირიკა

თბილისი 2022

UDC (უაკ) 821.353.1-1
ყ-281

ავტორისგან

წიგნი გამოიცა ჩემი ყოფილი მოსწავლეების, დღეს ემიგრანტი დედების ინიციატივით.

სპონსორები: ნატალი კახიძე, ნათია ხელაშვილი, ეთერი წკიპოშვილი დიანა მოსიაშვილი, მარინა მოსიაშვილი, ზვიადი აღექსანაშვილი, ილია ბერიაშვილი, ნინო მიჩელაშვილი, ზაირა ბერიკიშვილი, მერი დურგელიშვილი, თეა მაილაშვილი, ქეთი ავთანდილაშვილი, მარიამ ნინიკელაშვილი, ლია ქიტესაშვილი, ხათუნა ამონაშვილი, ზაზა მელიქიშვილი, ხათუნა ავთანდილაშვილი, დოდო მოსიაშვილი, ნანა ქიშოშვილი, ბესო ფშაველაშვილი.

მადლობას გიხდით მეგობრებო!

კორექტორები: ნანი შუქურაშვილი
თემურ გოგბერაშვილი

ყდის დიზაინი
კომპიუტერული
უზრუნველყოფა ლია მოსეშვილი

პროექტის
მენეჯერები: ნატალი კახიძე
ნათია ხელაშვილი!

© ლალი ყარალაშილი

ISBN 978-9941-8-4369-3

წინათქმა

50 წელი ქიმიის მასწავლებლად ვმუშაობდი სკოლაში, აქედან, ბოლო 17 წელი – ამავე სკოლის დირექტორადაც.

სკოლა, უწვრთნელ ყრმათა საყუდარი, ნიჭისა და გულმოდგინების საასპარეზო, წარმატებების, თუ წარუმატებლობის, აღტაცების, ხან აღშფოთების სამყარო, ზოგჯერ – სევდისაც: სექტემბერში, როცა კურსდამთავრებულების ნაცვლად მერხებს იკავებენ პირველკლასელები, ჩვენ, მასწავლებლები ყველაზე უფრო ძლიერ ვგრძნობთ, როგორ ჰგავს სკოლის „ცხოვრება სუნთქვის განმეორებას, ფოთოლთცვენას და აღმოცენებას.“

ოჯახი, სკოლა, გაკვეთილები – საინტერესო ექსპერიმენტებით, ქიმიის საღამოები (მაგ. რუბრიკით „გადავარჩინოთ ქვეყნად ყველაზე მთავარი – სიცოცხლე, გავუფრთხილდეთ ჰაერს, წყალს და ერთმანეთის გრძნობებს“), შემოქმედებითი საღამოები (მაგ: რუბრიკით: „ქარის სიამ-სილაღე მის ქროლვაშია“); კონფერენციები, კონკურსები... ჩემი ცხოვრება მთის მდინარის ჩქარ დინებას ჰგავდა; მაგრამ ყველაზე მთავარი ჩემი და ჩემი მოსწავლეების ურთიერთშორისი სიყვარული იყო, სიყვარული ხომ ჰანგთა რემაა, ჩვენი ცხოვრების სიმთა ხეობის...

დავიბადე და ვცხოვრობ კახეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში, ქისტაურში (რაფიელ ერისთავის მშობლიური სოფელი). გასაბჭოების წლებში ჩემს წინაპრებს წარმომავლობის გამო (ბებია – ანა ბაგრატიონ ბაბადიში, პაპა – თავადი ილო ყარალაშვილი) რეპრესიის დიდი ქარტეხილები დაატყდათ თავს.

ამ ტრაგიკულმა ისტორიამ მუდმივი სევდა დააჩნია ჩემს ბავშვობას. მერე კიდევ რამდენი ტკივილიანი დღე გაუთენდა ჩემს მიწა-წყალს. (მძიმეა სევდა, რომელიც ერის საწუხარიდან იღებს სათავეს, ვის ხელთაა ჩვენი გადარჩენის სადავე?) გრძნობები ლექსებად ამოხეთქავდნენ ხოლმე სულიდან. არასოდეს მიფიქრია მათი გამოქვეყნება, მაგრამ უთქვამთ: „არასოდეს თქვა – არასოდეს!“ ბოლო წლებში სურვილი მომეძალა ჩემი ნაწერე-

ბის წიგნად გამოცემისა. რამდენიმე წლის წინ გამოვიდა წიგნი: „განსაჯე თავი შენი“ – აზრები და განწყობილებანი. ბევრი გამოხმაურება მივიღე. ამ რამდენიმე თვის წინ ჩემი რამოდენიმე ლექსი გამოვაქვეყნე სოციალურ ქსელში. ბევრი შეხმიანება და წერილი (იხ. ქვემოთ) მივიღე, რომელმაც ძალიან ამაღელვა. ....და აი, წიგნი მზადაა. თუ მის სტრიქონებში მკითხველი ჩემს ტკივილში ამოიცნობს საკუთარ ტკივილს, ჩემს სევდაში – თავის სევდას, ჩემს იმედში დაინახავს თავის იმედს და შემართებას, ჩავთვლი, რომ, ამ წიგნის გამოცემა ღირდა, ო... ღირდა!

წერილი ლალი მასწავლებელს

არ მეგულება ჩვენი სკოლის არც ერთი კურსდამთავრებული, რომ არ ახსოვდეს და არ უყვარდეს უმშვენიერესი, უბერებელი სილამაზის მქონე და ბრწყინვალე სულიერების მატარებელი ქალბატონი. არც სკოლას ახსოვს ასეთი ყოველმხრივ აქტიური და უნიჭიერესი შემოქმედი პედაგოგი.

თქვენს მიერ ჩატარებული არა ერთი ღონისძიების აქტიური მონაწილე ვარ. ბავშვობიდან მაოცებდა თქვენი დაუშრეტელი ენერგია და შემოქმედებითი ნიჭიერება. ჩემი ბავშვობის მეხსიერებას კი განსაკუთრებით შემორჩა თქვენს მიერ, თქვენივე სცენარის მიხედვით დადგმული სპექტაკლი „სიცოცხლე გრძელდება“, რომელშიც როლებს ასრულებდნენ ახალგაზრდა თუ პენსიონერი მასწავლებლები, სკოლის დირექტორი, მოსწავლეები, სოფლის ინტელიგენცია. „სპექტაკლმა შესძრა მაყურებელთა სული“ – წერდა იმდროინდელი გაზეთი „სახალხო განათლება“.

კიდევ რომელი ერთი ღონისძიება ჩამოვთვალო, ქიმიის საღამოები, საზრიანთა კლუბები... ჩვენი სკოლის შესანიშნავ პედკოლექტივთან ერთად თქვენ შესძელით, სკოლის პერიოდი უჩ-

ვეულოდ ლამაზ და შთამბეჭდავ მოგონებებად დარჩენილიყო თაობებში.

ეს იყო ჩემს ბავშვობაში.... ახლა კი, უკვე დედა, ცხარე ცრემლით მატირა თვენს მიერ დაწერილმა ლექსმა, „ემიგრანტი დედის ვედრება“... ეს ნიჭიერებაა, არ იყო ემიგრანტი და ასე, სულის ტკივილამდე გაითავისო მისი განცდები.

შემოქმედების სტილიც ყველასაგან გამორჩეული, უფაქიზესი და რაღაცნაირად თქვენეული გაქვთ. რომანტიზმით გაჯერებულ ფრაზებს ოსტატური სიტყვათა წყობით, მძივებივით აბნევთ და გვატყვევებთ მკითხველს.

სწორედ თქვენმა სიყვარულმა და ღირებულებებმა გაგვაერთიანა სხვადასხვა წლის კურსდამთავრებულები თქვენთვის ლამაზი სიურპრიზის მოსაწყობად, რომ თქვენი პოეზია წიგნად გამოგვეცა.

გთხოვთ, მიიღეთ ეს მცირედი ჩვენგან უდიდესი სიყვარულის და პატივისცემის ნიშნად.

ლალი მასწავლებელო, გვიყვარხართ, გვეამაყებით!

ნატალი კახიძე
სექტემბერი 2021წ.

პასუხი ლალი მასწავლებლისგან

ჩემო ძვირფასებო, რამდენიმე დღე ვერ გიპასუხეთ... სიტყვებს ვერ ვპოულობდი...

საოცარია პედაგოგის პროფესია – მოძღვრავ, აკვირდები ცოდნისა და სიკეთის ტუბერების აღმოცენებას აღსაზრდელში, აფრთიანებ და ამ მოვლენებით გამოწვეული განცდა მთელი ცხოვრების საგზლად მიგყვება. დღეს თქვენ ამ საგზალს საგზალი დაამატეთ.

ასე ხიბლით რომ იხსენებთ სკოლის პერიოდს, ჩატარებულ ღონისძიებებს – ამაში დიდ როლს თქვენი მონდომება თამაშობ-

და, ასევე დიდი იყო, ჩვეხი კედკოლექტივის ძხარძი დგოძა, ძაგრაძ ყველაზე მთავარი თქვენი ნიჭიერება და სიკეთისკენ ლტოლვა იყო.

მახსოვს, თქვენგან წამოვიდა იდეა, აღდგენილიყო ყოფილი ეკლესია, სადაც წისქვილი იყო განთავსებული. როგორი ხალისით აგროვებდით აგურებს (ცალობით) მშენებლობისთვის...მერე ეს იდეა სოფლის ღირსმა შვილებმა განავითარეს და ახლა სოფელს მოქმედი ეკლესია აქვს.

როცა მოსწავლეთა შეკრებაზე გადაწყდა სკოლაში საბრძოლო დიდების მუზეუმის შექმნა, როგორ სათუთად აგროვებდით თანასოფლელ ომგადახდილთა და შინმოუსვლელთა სურათებს, საბრძოლო ბიოგრაფიებს და შემდეგ მოსწავლე-გიდები მუზეუმის სტუმრებს უყვებოდით მათ შესახებ.

90-იან წლებში, როცა სკოლის ნანატრი სააქტო დარბაზის მშენებლობა შეჩერდა (უსახსრობის გამო), როგორი მონდომებით, უსასყიდლოდ მუშაობდით მშენებლობაზე თქვენ, თქვენი მშობლები, პედაგოგები. საკრებულოს ხელმძღვანელობაც აიყოლიეთ... და დღეს სკოლას სამას ადგილიანი სააქტო დარბაზი აქვს.

და ასე ხდებოდა არა მხოლოდ კლასგარეშე ღონისძიებებისას...

მახსოვს, ქიმიის ერთ-ერთ ღია გაკვეთილზე კახეთის ზონის სკოლების 20-ზე მეტი პედაგოგი გვესწრებოდა. გაკვეთილის შეფასება მაღალი იყო. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ამ გაკვეთილში ყველაზე მნიშვნელოვანი მასწავლებლის და მოსწავლეების ერთსულოვნება იყო.

ასეთები იყავით თქვენ! დღეს კი, სამშობლოდან მოშორებულნი და მაინც სულით ასე ძლიერები, ისევ საყვარელი ადამიანების გახარებასა და კეთილის ქმნაზე ზრუნავთ.

მადლობელი ვარ ამ სიყვარულისთვის, სიყვარული ხომ საკმეველია ჩვენი შარაგზის მოსაკმევებლად.

გეფერებით... გეფერებით.

თქვენი ლალი მასწავლებელი
სექტემბერი 2021წ.

ცოტა მგე

ღრმად შეისუნთქე ყოველი დღის ხიბლი, რამეთუ
არ არსებობს ორი ერთნაირი დღე, ვითარცა
არ იქნების ორი ერთნაირი ფიფქი!

ლაღი მეოცნეზე

ლაღი მეოცნებე, ნისლებზე მინდობად
დავეხეტებოდი ღრუბელთ ზე,
რა ბავშვი ვიყავი... რა ბევრი მინდოდა:
ჰაერი,
წყალი და...
ცოტა მზე!

სთქვი, ღრუბლის ფთილავ...

სთქვი, ღრუბლის ფთილავ,
რას მიიჩნევ შენი ყოფის უამეს არედ,
მთვარეს – ცის კანდელს,
შუქმიხდილი რომ ნებდება შენს ფაფუკ მკლავებს,
ვარსკვლავთა არვეს,
შენი სიმრუმით რომ დააღამებ,
თუ...
დიდგულა ქარებს,
გზას რომ უბნევს შენნაირ ფთილებს და აღმა-დაღმა
დააქანებს?!

მაინც ავმაღლდები!

ბაღჩაში იყო გლოვა და მოთქმა,
ფოთლები შორდებოდნენ ხეებს,
ერთი ფოთოლიღა შერჩენოდა მუხას,
„ეს მაინც“, გმინავდა ხე,
ავად დაიწივლა ქარმა:
„არც ეს!“

იფეთქა კდემით პატარა კვირტმა:
ძარცული ხის ნუგეში ვარო,
რტოები ჩემი თუნდ რკალებად ხარო,
ძარღვთაგან სცალო,
მაინც ავმაღლდები ღრუბელთა ზედა,
ავგულა ქარო!

რომ, სივრცეებში გავბნეულიყავ

მინდვრის ყვავილთა მთრთოლვარებაში ვნანაობდი,
ვნიავქარობდი,
მთის ჩანჩქერების ზვირთთა ქვესრბოლას ჩავყვებოდი,
ჩავეფრქვეოდი,
წყალთა ალერსის ნეტარებას ავეკმეოდი,
მერე ვზეობდი –
მზის ათინათის მკრთალ ნათებას ავებნეოდი;
...ავებნეოდი,
ვერ ვიოკებდი ნდომას ყმაწვილურს, დაუდგრომელს,
სავსეს სიალით,
ლტოლვას სრბოლისას, ჟინს სიმაღლის, რომ სივრცეებში
გავბნეულიყავ,
დამერღვია ნაცრისფერი მდუმარება მათი,
ჩემი სილაღით!

რა ესმით ქარებს

ქარმა გადარია პატარა მდინარე,
მღვრიე ტალღები ბორგავს და მძვინვარებს,
გლეჯს ფოთოლს ქარი იქვე მდგომ ჩინარებს,
მიუგდებს ტალღას და ტალღათა სრბოლა
მყის წარიტაცებს
და აუჩინარებს!

მინდორში გვირილა შიშით ნაბავს თვალებს,
გაუძლოს იქნება ბობოქარ ღამეს,
მნათობთა კრთომა ირგვლივს აფერმკრთალებს,
ქარი ტოტებს ატეხს ჭადართა ჯარებს;
ჭადარსაც გული აქვს,
... რა ესმით ქარებს!



„მთვარე ღრუბლებმა დაატყვევეს“

„მთვარე ღრუბლებმა დაატყვევეს შუქთა მილევით,“
ცა აივსო ფერად ხილვებით:
დედა ღრუბელმა
სათამაშოდ მიუგდო მთვარე პატარა ქულებს,
ანანავდნენ მთვარის სხივებში ბურა ფთილები...
ზოგი ზე ასდევს, მერე ისევ
დაბლა ეშვება.
ესათუთება, ზოგი კიდეც
ეუხეშება,
გარს ევლებიან, ყველა ლამობს
მასთან შეხებას.
ფარფატებენ ფერთა გამებში ფთილა-ფთილები,
„მთვარე ღრუბლებმა დაატყვევეს შუქთა მილევით“.

არ შემიძლია ღვენთა უალო

როგორც ნაღვინევ აშუღს უთაროდ,
მუზას უქალოდ, ღრუბელს უქაროდ,
დევნილს უფაროდ...
ღმერთო უფალო,
არ შემიძლია ციმციმა სანთელს –
ღვენთა უალო,
...ამ ალის გამო,
თუმც, ბევრი კრთომა მერგო უამო!

***

რამეთუ
მაღლისაკენ ლტოლვა სულს
აკეთილშობილებს,
უეცარი რისხვა ქვენა გრძნობებს
ადედიშობილებს,
ამად, განსჯა მეტი გვმართებს თავისა,
ადამის შობილებს!

ეს მე ვისურვე

ეს მე ვისურვე ყოფილიყო ქვეყნად განმეორება,
მირიადი იათ შლილობა,
რამეთუ თვით ვარ
განმეორების დაუსაბამო, დიდი საწყისი –
დედაშვილობა!

პოეტებმა მთხოვეს კიდევ წამეკითხა ლექსები

(ექსპრომტად)

კიდევ და კიდევ გაგანდობდით სევდას მესტვირის,
სხვა რა მინდოდეს, პოეზიის ღმერთკაცებმა
ასე მეფეროთ,
მაგრამ ფილმიდან მაგონდება თეკლეს[1] ტექსტირი:
„შენი მაღალი ყურადღების ღირსი არა ვარ,
დიდო მეფეო“!

[1] გიორგი სააკაძის და.

მზის ჩასვლა ზღვაზე

გავარვარებული ნახშირივით ცეცხლოვანი დისკო
მზის,
ამოეფარება ჰორიზონტის ოვალურ სიმრუდეს
ზღვის,
ფერთა გამაში გაეხვევა ღრუბლები – ფლეთილები
ცის,
მოლოდინში გაირინდება მთელი სამყარო, მე და
„ის!“
ამ სიჩუმეში მწუხრიც მოატანს – მდუმარე ნაღველი
ზღვის,
გამრუმდება ფერად ხილვათა ფერმიხდილი წყებები
ცის,
შორით ვიღაცა „მთვარის სონატას“ სევდის ქულებად
სცრის,
უსასრულობას შეერთვება მთელი სამყარო, მე და
„ის!“

ავწიე ჭიქა

ავწიე ჭიქა ქარვისფერ ღვინით,
ძარღვებში ატყდა გრძნეულ გრძნობების,
ზეშთამბერავი ქროლვა სიოსი,
რა ახლოს ვიგრძენ სვეტიცხოველი,
ჯვარი,
                    გელათი,
                                    მაღლით სიონი,
ნათელს მაფენდა კავკასიონი,
ასეთი დიდი ლექსები რომ შვა,
იქნებ თვრებოდა გალაკტიონი?!

ქეთევან წამებული

ათას ექვსას ოცდაოთხი წელი... შირაზი,
ხეთ ძარცვის ხანი,
მოედანზე მოსეირეთა – მომლოდინე ათასი თვალი,
„ნათლისმცემლის ჯალათივით“ ატირებული
იმამ-ყული-ხან
უნდილაძე, გადმოხვეწილი გურჯისტანიდან –
შირაზის ხანი,
ბრძოლებში კაცი ლომგული, მამულიშვილად
თუმც ერთობ მდარი.
ცეცხლისპირ მდგარი დედოფალი ქეთევანი,
ღვთაების მგვანი,
(ცეცხლისა შიგან რკინის მაშებ-მარწუხების
ღელავდა ალი),
ქრისტეს ჯვარცმით გულს, მამულის ლოცვითა მდგარი,
თან ღმერთს ჰვედრიდა:
ტკივილების, რომ ელოდა, დასათრგუნავად
ჰყოფნოდა ძალი,
კიდევ ერთხელ მიეახლა მოენე შაჰის, გაუმეორა
დანაბარი, შემპარავი, წვრილი ხმით თქმული:
„ცხელ მარწუხებს,

მაჰმადის სჯულს ხომ არ ამჯობინებდაო,
გურჯისტანის გული?“
და რა მოესმათ მტკიცე, შეუვალი ხმა:
– სული ქრისტესია!
გული – ფერფლად ქცეულიც, საქართველოსაკენ
გაჰყვებაო ქარს!
ბგერა გაიპო... გავარვარვარებული მიტრა[1]
წარმოაცვეს თავს!
(ო, დედოფალო! მიწა რად არ გასკდა ცოდვათ
სიმხურვალეში,
ქარი რად არ ამოგრიგალდა, წარეკვეთა
უბირთ თარეში?!)
გულს საკინძე ჩამოუშალეს, ტანი სარო
შემოაძარცვეს,
ურყევი იყო დედოფალი და დაცემა აღარ აძალეს,
ლურსმნების გავარვარებული სარეცელი შემოაძალეს!
დრომ შთაგონებად იქცია კდემა ქალისა,
ხილვით ამისა,
ერთხანს კვლავ ჩნდა უხმო ფეთქვა ალვა ტანისა,
შიგან ალისა,
სიყვარულისთვის მიუზღეს ის, რაც ექადნათ,
სივრცე შექანდა,

[1] ჯვარცმულის ეკლის გვირგვინი.

ნივთიერისგან სული გაკიდეგანდა.
ვერ ხელყვეს სული!
ფლითეს თუმც სხეული მაშით,
რამეთუ მოჰკლეს,
უკვდავჰყვეს მაშინ!
გარინდულიყო ყოველი, გრძნეულის თითქოს
დაეკრაო ტორს,
მხოლოდ ქართული წვეთი სისხლისა – ეული,
ეომებოდა
შაჰ აბასის ავ სხეულში ავ სისხლთა ტბორს,
გამოეხეთქა
კაპილარები, მასში არ ყოფილიყო რომ!
მზე ჩაინავლა,
ბრბო მოსეირე იშლებოდა, ვეღარ უძლებდა
ბუღსა და კვამლს,
მხოლოდ ცისაკენ აღმავალი ნათლის ნაკადი,
ნათლის სვეტად
გარდასახული დედოფლისა, სივრცეებში –
უკიდეგანოს...
ავლებდა კვალს, ის ჟამი იდგა
როცა სიკვდილი
სიკვდილსა ჰკლავს!

ხმაურით, ღრენით

ხმაურით, ღრენით, ზღვა მძვინვარებით ურტყამს ნაპირს
ღონიერ ტორებს,
შორს, ზღვის გულში კი ფერთა ცვლა აქვთ
ტალღათა ტბორებს –
ლურჯებს, მწვანეებს, მოლისფერებს – ზღვის განწყობის
ამ ინდიკატორებს.
ვითვლი ფერთა ცვლას, რა წარმოშობს ფერთა ამგვარ
გარდამავლობას,
იდუმალი სხვა რაიმე ძალი, თუ სინათლის
საოცრად მალი,
სხვადასხვა სიხშირის ტალღებია, არეკლილი
მშფოთვარე წყალით?
კითხვა კითხვაა, პასუხს მისას მოითხოვს რიგი,
მაქვს სწავლულთ რიდი,
მაგრამ ერთია მაინც, ვინემ სინათლის ტალღის
სიგრძე – სიხშირის,
ცნების სიზუსტე, ფერის შეგრძნება ცოვრებაში
უფრო არს დიდი!

ფერის შეგრძნება, ეს შეცნობაა მრავალ გრძნობათ
მრავალგვარობის,
გასხვაფერება ადამიანურ ლტოლვებათა
ყველა ამობის,
ეთიკაა ყოფიერების, ამაღლებაა
ჩვენი რაობის,
ურომლისოდაც მსხვერპლნი გავხდებით – მსხვერპლნი
არარაობის!

ბურა ღრუბლები

ბურა ღრუბლები აეფოფრენ შავ ნისლთა ტევრებს,
დაიმუხტა ატმოსფერო ათას ვოლტებით,
ფაფარაშლილი მოვარდა ქარი, ღრუბელთ მეხრე,
გაავებული დაერია ფარას შოლტებით.

გაიკლაკნენ ქარის შოლტები, ვით ცაზე ელვა,
მეწამულისფრად დააჩნიეს ნაჭრილობევი,
ეწყინათ ღრუბლებს, ცრემლში ჩაახშეს ამდენი ღელვა,
დაასველეს მინდვრისა და ტყის ჭილობები!

დადგება ხოლმე ცხოვრებაში წუთები მძიმე

დადგება ხოლმე ცხოვრებაში წუთები მძიმე,
მთებს გარსმიჯრილი ჯანღივით მრუმე,
შემოჭრილი სინათლის სხივი ამ სიმრუმეში
შესამჩნევია, მით უფრო თურმე!

არ ყოფილიყო ჩემი ყოფა ნაღველნარევი,
სევდით მოცული, მწუხარე ხილვად,
ჩემო ძვირფასო, ნეტავ მაშინაც შემოხვიდოდი,
შემოხვიდოდი ჩემში მზის სხივად?!

ყველა ელოდა მეხთატეხას

ცის დასალიერს შეესია ღრუბელთა რემა,
ხელყოფილ ჰყო სილურჯე მისი,
მკაცრი და მრუმე იყო იგი, ფერისცვალება,
ვით გაფრთხილება მრავალგზისი.
ავ მოლოდინში განაბულა მუხა და დეკა,
ფერმიხდილა, კრთის ოაზისი!

ყველა ელოდა მეხთატეხას და უცებ არეს
შემოეცალა ღრუბლები ცისით,
ცოდვილი მიწა მრუმე ნისლებს შეჰპირდა რამეს?!
მერე იყო გაადვილება სავალი გზისი,
რამეთუ ისევ შეგვიფარა კდემამ
ამოდ მავალი მზისი!

ქიმიკოს გოგონას

მწვანე ცისფერს სცვლის სინჯარაში,
არის ფერთა გარდამავლობა,
გარინდებულა ლურჯთვალება,
ითვლის ფერთა ცვლას, ვინ გაიგოს
მისი მისია...
– მეოცნებეა?
– მომავალი ქიმიკოსია!

არის ბიჭი ნუკრისთვალება

არის ბიჭი ნუკრისთვალება, ოდნავ თავნება,
ერთნაირი გულმოდგინებით არჩევს ფორმულებს,
სწავლობს ენებს,
მერე აიღებს პატარა ფუნჯს და
ქაღალდზე ტოვებს მიმობნეულს,
საოცარ ფერებს!

სადღეგრძელო

ასწიეთ ჭიქა ქარვისფერ ღვინით,
ბიჭების ხსოვნად,
გულზვიადობა რომ დაენათლათ
მშობელი მთების,
მამულმა უხმო და ალაღებულ
ქართ სწორფერებმა,
სალი კლდის შვერილებს შეალეწეს
ამაყი ფრთები!

ო, ღირდა... ღირდა!

მე ვიხილე მზე ცეცხლოვანი, მისი სავსე მშვენება,
დაისის მწუხრზე ზღვაში როგორ ჩაესვენება;

სევდას მიძალებს ცად ვარსკვლავის კრთომა ეული,
მერე ელვისებრ ძირს, უკიდეგანო ქვესკნელს ქცეული;

თვალწარმტაცია მთის ჩანჩქერი, შმაგად ფრქვეული,
გავაკებული, მდორეა და ძალაგამოლეული;

გულს მიმძიმებს საავდროდ მოჯრილ ღრუბელთ ტევრები,
თუმც, ბოლოს ქარისაგან დაფანტულია, დანაწევრები!

მე მინახია ქარიშხალით არე რბეული,
ქარიშხალიც მინახავს კლდის ქიმებზე
ფრთებმიმსხვრეული!

მტკივა მთის ფერდზე ჯიხვი, ჭიუხისკენ მზერით მეწილის,
კაცის ტყვიით ქიმ, ქარაფებში ჩამოლეწილი!

კაცი, რამდენია მუხთლობის სენით ხრწნეული,
სარმაგამოდებულ მოძმის დაცემით წადილს წეული;

მომხიბლავია ერთ არსებად ორთა მარება,
თუმც რამდენია მერე ამ მთლიანის დანაპრალება!

ვის არ ჰქონია იმედები ზენას წეული,
მერე ძირს დაცემული ყინულივით მიმომსხვრეული!

მე დავინახე ბავშვი, როგორ წაიქცა ყრუ ლოდებთან,
სასომიხდილი დედა როგორ მწარედ გოდებდა!

და თუ ასეა, ბოლო თუა მაინც ყოველის მოსრა,
იმთავითვე ღირდა კი მაშინ ამ ქვეყნად მოსვლა?!

*

მაშ რად მიზიდავს ბილიკები ასე ხვეული,
მთებსა და ველებს უსურვაზებივით შემოხვეული;

გული რად მღერდა დისკო მთვარისა როს აენთო,
ვარსკვლავებით როცა მიმოიჭედა სავარსკვლავეთო;

რადა ვნეტარებ, განთიადი როცა შობს შუქთა
ბილილებს
და რიჟრაჟის მწუხრს მკრთალ ფერებად
მოაბილილებს;

მზე ამოვა, მეფურად გადმოაბნევს სხივებს ელვარეს,
და აისი სივრცეებს უმალ ააელვარებს;

მერე მოდრკება ჩემს სარკმელთან ქარი, თვინიერ
მიფენს ფრთებს სახეტიალოდ,
გზა მიტიე კლდეო ტიალო!

*

და მეხლება მთის ჩანჩქერთა შხეფვები, მაღლით ასული,
ათინათით მარგალიტებად გარდასახული.

ველის ყვავილებს გაუმართავთ ველად მეჯლისი,
მიწვეული ვარ, მძაფრი სურნელების მომცეს მესიჯი.

აგერ მომდგარა ხარ-ირემი ტყისპირს, ქორბუდა,
ყივის, სამიჯნუროდ უხმობს ფურიას ლერწმის ქონგურთან.

შეხე იმ კაცს, მოძმისთვის თავი როგორ გასწირა,
სიკეთის წილ, მერე სულ სხვამ მიუგო ვალი ასწილად;

ეს მესაზღვრეა, ღვივშივ ჩაუხშოს მტერს ნდომის ებანი,
მამულის მიჯნებს არ შეახოს მისი ვნებანი!

იმ ქალს, ლოცვად მდგარს, სურს ვნებათა ხიბლს
არ ეუფლოს,
შემდგომ ფერისცვალების სული შერთოს
ზესთა საუფლოს.

ჩუ ... ბავშვი კისკისებს, მისი სილაღე შტორმებს აოკებს,
სიცოცხლის არსზე დააფიქრებს არსთა ქაოსებს!

ცოდვა-მადლი კი, განსასჯელი ანგტერმ-ედრებით,
ანგელოზებს ცისკენ მიაქვთ უსხეულო პერგამენტებით.

*

ქარი კი, თითქოს ამ ქვეყნად არა აკრთობდეს რა,
სრბოლას განაგრძობს დიდხანს, მერე ჩემსკენ
მოიღებს ფრთებს და

სევდითა მკითხავს:
– წამია სიცოცხლე კაცთა, მაგრამ
თუ იცხოვრე ღირსად, მარადისისკენ ლტოლვის ეს წამი

ამოდენ ვნებათ რიგად, ღელვად, ამდენ ვაებად
და ხან შვებად ღირდა? და მე ავტირდი:
– ო, ღირდა... ღირდა!

მე დავიზადე ველთა მწუხრისას

მე აღმოვცენდი მოსრილ ფესვთაგან,
როგორ მწყუროდა წყაროს მწეობა,
წყარო შორს იყო,
მაგრამ ნისლებად
ნამი დრო და დრო მოიმცვრეოდა!

მე დავიბადე ველთა მწუხრისას,
როგორ მწყუროდა ზეცის მწეობა,
ზეცა შორს იყო...
მაგრამ მე თავად
უნდა მეცადნა ცისკენ ზეობა!

სიყვარული

სიყვარული პოეზიაა: რითმა, რიტმი და ფანტაზია,
საკმეველია, შენი შარაგზის მოსაკმევებლად!

სიყვარული ეს ცის კარია

სიყვარული ეს ცის კარია, ყოფის აზრი, ყოფნის მეობა,
ჰანგთა რემაა...
შენი ცხოვრების სიმთა ხეობა.

სიყვარული ეს ცის ვნებაა, იდუმალი, ხან ისე თავნება,
ნათლის ღვარია,
ხან პირქუშია, როგორც ბრალდება!

სიყვარული ეს ცის თრთოლვაა, სიოსავით ამო ამება,
ნიავქარია,
ხან ქარიშხალის აგრიგალება!

სიყვარული ეს არილია, ფანტელივით გარს რომ გევლება,
საკმეველია,
შენი შარაგზის მოსაკმევებლად!

სიყვარული ცად აღმაფრენაა...
ფრთე-ფრთანაზია,
სიყვარული პოეზიაა: რითმა, რიტმი და ფანტაზია!

ცისარტყელას მოვტაცებ ფერებს!

წვიმდა და წვიმდა... ახლა კი ცაა ისე მშვიდი,
დედაო მიწავ, დამეუფლა სურვილი დიდი:
ნაწვიმარ ცაზე გაბნეულა სარტყელი შვიდი,
თქვი და.... თუნდაც საავდროდ გამიწყრეს ზეცა,
მიდარაჯებდეს ხიფათი დიდი, შემადრკოს ვერამ,
გზას გამიკვალავს ოცნება-ჩემი ციური გიდი:
ფრენით გავაპობ ეთერის ფენებს,
იქ ცისარტყელას მოვტაცებ ფერებს,
შენ გამოგიწვდი მთრთოლვარე ხელებს,
(ვინ დამილოცოს სავალი შენებრ!)
ვერ დამეწიოს ღრუბელთ ჯარი, მდევარი ვერცა,
შემოგაბნიო ათინათი ათასგვარ ფერთა,
მერე სიმწვანე მოეძალოს ხრიოკთაც შენთა,
ღამითაც შუქი ეღვრებოდეს მთებსა და ველთა,
რამეთუ ახლა გულისთქმა ზოგი, ავი და მრუმე,
შეჰფარებია შენს ბინდს და ბნელეთს, მე უსათოოდ
ავფრინდები ღრუბლებზე მაღლა
და ცისარტყელას მოვტაცებ ფერებს!

კდემა დედათა!

დასაბამიდან...
თვალთაწარმტაცი იყო იგი მიწა საქართველოისი,
ვითარ ედემი,
ბარი მთიანი, ხმელეთ-ცვრიანი, ურმულიანი, წყალში
ოქროს ვერძები,
ვაჟები ხმალ-აბჯრიანი, ასულები მოგოგმანენი, ვით
ტბაში გედები,
მაგრამ, მამულს თუ დასჭირდებოდა, უმალ ისხამდნენ აბჯარს
თვითონ დედებიც!

ლოცვანათევი,
გამთენიისას, მომხვდურთ ურდოებისკენ მიმავალ ლაშქარს
მოძღვრავდი თავად,
ასულს ასე ნაზს, ნასათუთარს, ამდენი ძალა გქონდა რით,
მეფვეო თამარ?

– უნდა გამეღო ვალი მეფისა, მამულისა, ერისა და
ხარკი დედათა,
ჯანღი რომ არ მოსდებოდა ქართული ცის უძირო თავანს!
– მტკიცეა თამარ!

დასაბამიდან...
ნაყოფიერი იყო იგი მიწა საქართველოისი,
განა ეწერი,
ჩამოაბნელა მტერთა სიმრავლემ, არე დაბინდა სულ
შავი ზეწრებით,
ტყვეთა სიმწუხარეში, სპარსეთისკენ მიტორტმანებდნენ გურჯი
ლერწამ-ქალები,
ვითარცა ყვავილობის ჟამს ქარიშხლისაგან გაძარცული
ვაზის ლერწები!
(მძიმე ხვედრის წილ, რაოდენ უბადოა შენი მძლეობა,
დაო ქეთევან?!)

– უნდა გამეღო ვალი სჯულისა, დედოფლისა, ერისა და
ხარკი დედათა,
მძიმე ტერფებით საქართველო მტერს უღვთოდ რომ
არ ეთელა!
– ამბობს ქეთევან!

დასაბამიდან...
სურნელოვანი იყო იგი მიწა საქართველოისი
ითი, ენძელითი,
პაატას დედავ, საშაჰიანოს მძევლად შვილის დატოვება
როგორ შესძელი,
როგორ შესძელი ქალო, რუსუდან? – მძიმე უნდა გამეღო
ხარკი დედათა,
იმ ავბედით ჟამს არ მოვესარით ძირში, რათა მუსულმანთ!
– ამბობს რუსუდან!

*

ვერამ ჩაკლა მებრძოლი სული თაობათა, ვერ ამონა
ნდომას მუხანათს,
საქართველოში, ღვარჭნილი[1] – ვერ მოძირკვეს ფესვი მუხათა,
ამოიზარდნენ
ეს ფესვები: ილიად, ვაჟად,
კონსტანტინედ,
გალაკტიონად,
ანად,
მუხრანად!

*

ასეა დასაბამიდან, საქართველოში ვერ მოძირკვონ
ფესვი მუხათა,
და ვერცა კედართა,
დიდი, დიდი არის
კდემა დედათა!

[1] ჭდეებიანი

წამწამები რატომ დახარეს?

იმ ლამაზ ღამეს, ზმანებათ ღამეს გრძნობა წრფელი,
დაუსაბამო რამ დააოკა?

დააოკა კი? და მაინც ბაგე მუდამ მღიმარი,
იმ ლამაზ ღამეს რატომ გაურჩდა?

მწვანე თვალებმა რად ვერ გაუძლეს ლამაზ ზმანებას
და წამწამები რატომ დახარეს?!

* * *

– რაო, ვინ არის?
– ირმისთვალება,
ძლიერ თავნება,
გაიღიმებს და...
სევდაც თავდება,
დარდიც თავდება!

და აშრიალებს შავ ფოთლებს ქარი

და აშრიალებს შავ ფოთლებს ქარი,
ხან ისე ძლიერ,
ხან ისე კრძალვით,
სივრცეში ბორგავს ფერები ღამის,
შენ კი არ ჩანხარ, წასულხარ საით,
ამ ტიალ ღამით?!

* * *

მივდივარ...
შენ რაღას ხარხარებ ნიავო,
წაგივალ მეტოქე,
ყვავილებს ეფერე,
ტიალო!

როს ღამე იწყებს გაფერმკრთალებას

ღამით, როცა მთვარის ფერმიხდილი ნათება
აედევნება სხივებს, დაღმავლებს,
განვუდგები ჩემს სევდის ქოხს, დავაგდებ ფლასებს,
ყელზე ავისხამ შუქთა ალმასებს,
ტანს – მიმომთვარული ღამის სამოსელს,
მოვალ,
        შემოგებნევი სხივთა ალმასებრ,
შენს სარეცელს იდუმალი სუნთქვით აღვავსებ;
... როს ღამე იწყებს გაფერმკრთალებას,
მთვარე როცა გადმოაბნევს სიმთა ალმასებს!

ისიც ქარია ვითომ!

წავიდა უკვე, სტირი? შეხე (სარკმლით რომ მოსჩანს),
მწვანე ბალახის ღერებს, ქარი რომ ააღერებს,
მერე რომ გადათელავს,
და ისე ააღელვებს...
გარდასახული სიოდ შემოეხვევა ალვებს,
ალვაც არ დააყოვნებს, მორცხვად მინაბავს თვალებს,
ესათუთება სიო
ამ ვნებააშლილ ქალებს...
მერე ატყდება ქარად, მძლავრად მოიქნევს ტორებს
და მინაზებულ ხეებს შემოაძარცვავს რტოებს,
ერთი შეუსტვენს კიდეც,
ვიდრემდე მიატოვებს.
ტანშეძარცული ხენი თავს იმშვიდებენ თვითონ,
სიოაო და რა ქნას, ქარიაო და მიტომ!
... შენც მიეჩვიე ამას,
ისიც ქარია ვითომ!



ეს ღამე ჩემთვის იქნება შლეგი

ეს ღამე ჩემთვის იქნება შლეგი,
მე სიყვარულის გატანა ვიცი,
გაცრეცილ ტუჩებს დააკვდება უგონო ფიცი,
ო, რომელიც განწირულია – წინასწარ ვიცი!

სხვა ღამეები იქნება ჩუმი,
მე ხომ სიჩუმის მოსმენაც ვიცი,
უსხეულო ამელანდები, უგონო ფიცით,
რაც არასოდეს შესრულდება – ორივემ ვიცით!

მე მეცვა ყვითელი კაბა

მე მეცვა ყვითელი კაბა,
თმა მქონდა ფერი გამხმარი ბალახის,
ის უხმოდ მიმზერდა და რომ
წავიდა, დატოვა პატარა ბარათი:
ფერი ყვითელი, თან რომ გდევს,
ვიცი, სიმბოლო არისო ღალატის!
ნიავმა კითხვებით ამავსო,
სულო, ნეტავი გაუძლებ ამასო,
გაიხდი მაგ ყვითელ კაბასო?!
ფრთენაზი... რა ჭორიკანაა ნიავი!

პაემანი

ღელის პირას სევდიანი ტირიფი,
ღამე შუქ-ჩრდილებით მიმომთვარული,
ქარი ნიავქარული,
პაემანი ფარული.

ოცნება ფრთაშლილი, ცამდე ასული,
გრძნობა ნაფერები, მერე ნაქარი,
სამოსშემოძარცული –
ტანი ნაქანდაკარი!

ცისფერ ნისლში ჩაძირული სხეული,
სისხლი აბორგებული, ზე-ს წეული,
მერე მოთენთილი,
მდორე, უკუქცეული!

ღელის პირას სევდიანი ტირიფი,
ღამე შუქ-ჩრდილებით მიმომთვარული,
ჭორი ნიავქარული,
შენანება ქალური!



რომ სილაში ფრთამოტეხილ ჩიტებს ხატავდე...

(იას)

მხრებმოსასხამი ამოვქარგე თეთრი მძივებით,
ტაძარი ჩვენი გავაბრწყინე მინდვრის ღვიებით,
ლურჯი იები ჩავიწანი ინისფერ თმაში,
ლურჯი იები, გავულოდინდი და უცებ მესმა:
– რა საჭიროა ამოდენი ემოციები?!

„რა ცოტა წყალი ჰყოფნით იებს სიცოცხლისათვის,“
უწყლობამ კი მიიყვანოს იგი სადამდე?!
ორ სიტყვას ძალუძს დაგინგრიოს რწმენის ტაძარი,
შეგიგინოს სალოცავი შენი ყველა სახატე,
...რომ სილაში ფრთამოტეხილ ჩიტებს ხატავდე!

თამთას

(ჩემს ქალიშვილს)

ცხოვრება არ არის ჩემო, ჰანგები მარადიულ თართა,
შეხვდები კეთილებს, ჭკვიანებს, ბოროტებსაცა და ავთაც,
გონიერ მოეგე ყოველთა,
გულმა უნდა იცნოს თამთა!
ზოგჯერ ხელთ გეპყრას ეგების გასაღები უამრავ კართა,
განსაჯე, რომელი გეგების,
გონებას დაუჯერე თამთა!
ხან კრთომა გექნება დამრეცის, ხანაც ცადაზიდულ მთათა,
ერთგან გადაგეშლება ედემი, სხვაგან წააწყდები ხრამთა,
ისეთი მოზომე ნაბიჯი,
დედას რომ გაახარებ თამთა!

ელენეს

(ჩემს შვილიშვილს)

დილა ვისი ღიმილით იღვიძებს?
– ელენესი!
დღე ვისი სიანცით იღლება?
– ელენესი!
ღამე ვისი სიზმრებით ივსება?
ელენესი!

ელენე, ბექას პატარა ქალი,
ყველაზე დიდგულა, ყველაზე ნაზი,
ყვავილზე სათუთი, ნიავზე მალი,
ელენე, მამიკოს სინათლე თვალის!

სოფიკოს
(ჩემს შვილიშვილს)

რა საოცარი იყო ღამე
ხიბლით, ესოდენ,
ციცინათელები ენთებოდნენ ირგვლივს,
მერე ქრებოდნენ,
თავბრუდამხვევი იყო ვალსი,
შენ რომ ცეკვავდი,
დობილები მერე დიდხანს, მარტოოდენ
შენზედ ჰყვებოდნენ,
მე მეგონა რომ ვარსკვლავები
ცვიოდნენ ციდან,
ცვიოდნენ... და შენს კაბაზე ალმასებად
ირეკლებოდნენ!

* * *

(ვ-ს)

ის იდგა ნეტარის ლოდინში
და მორცხვადა ხრიდა წამწამებს,
შენ იყავ დედოფალყოფილი,
რომელსაც მეუფე წაჰგვარეს.

ის იდგა შენი ქმრის რჩეული,
ძოწის თვლებს დარბაზში ჰფანტავდა,
შენ თრთოლდი, სიყვარულს ჩვეული,
ახლა აღარავინ არ გყავდა!

ხარ-ირემი

მყვირილობისას მოქნეული ხარ-ირემთ რქები,
არ მოცახცახე, მოელვარე კელაპტარები,
ჭიუხებში კი მომლოდინე ფურიათ მკერდი
გაყუჩებული, თვინიერი კენარ-ტანებით.

ბოლოს ერთ-ერთი ხარ-ირემის შემობღავლება
ნაპრალებში გადაჩეხვისას, შმაგი, ხელური,
კვარცხლბეკზე შემდგარს ფურ-ირემის ნაზი ამება,
... რაოდენია ამ სინაზეში მაინც ველური!

ვიცი დაა... რად ამბობს?!

ღაწვები ლოცვასა სწირავდა,
მერე და აუგი ვინა თქვა,
დღეთა სვლამ წაიღო, რაც იყო...

ფიქრები ესია ნაღველად,
ქარი კი მოსთქვამდა თავნება,
არ ღირსო დარდებად ამდენად!

ვიცი... და რად ამბობს?!

* * *

ბინის სხვა და სხვა პოლუსზე სახლობთ,
ასე გარდავა თქვენი დროება,
შენ კვლავ გვირილებს უგზავნი ამბორს,
ის მეხთატეხას ესათნოება!

* * *

ეს სიყვარულია, თუ შეშლილის აგონია,
ასეთი წუთები თითქოს თვითონ არ ჰქონია,
ისე შემაჩვენა...
თავი ვინ ჰგონია?!

* * *

ავარდისფრება ღაწვებისა, ჭვრეტა ფარული,
მომეტებული ფეთქვა გულისა,
გუშინ რატომღაც მომეძალა სევდა ძალუმი,
იმ არშემდგარი სიყვარულისა!

გარდასულ დროთა აკორდეზია?

– ხმები რამ მესმა,
– გარდასულ დროთა აკორდებია?
– ფოთოლთაცვენის მოახლოების მკაცრი მარშია!
შემოდგომაა... წვეროებშიღა შემორჩენიათ
ალვებს ფოთლები ყვითელ არშიად,
გადარჩენილი დროთა სრბოლას, თუ
ბებერი ქარის ტორებს აშრიანს!

– ზმანებათ ხედვავ, რად ამეკიდე...
– არ ჩაუვლია ყმაწვილს ვინმეს, ლეგა რაშიანს?
– „თვალი რამ ვკიდე...
შემოდგომაა, წვეროებშიღა შემორჩენიათ
ალვებს ფოთლები ყვითელ არშიად,
გადარჩენილი დროთა სრბოლას, თუ
ბებერი ქარის ტორებს აშრიანს!

სევდა

სევდა ნისლსა ჰგავს, დარდი-ღრუბელს,
მოლოდინი-ღელვას,
რისხვა მყიფეა, ოცნებაში კი, მაინც
რაოდენი სინატიფეა...

მთვარე ნავია

ღრუბელთა ტევრებს გამალებით მიაპობს მთვარე,
მთვარე ნავია,
ვით ტალღა ზღვისა უკუმოიქცევა ღრუბელთ რემა...
ისევ ქარია,
ცის ყრუ სიზმრები მიმქრალ ლანდებად ედებიან
მიწას ღამიანს,
ვიღაცა გოდებს,
სივრცე გარდასულ ექოთა მატიანეა...

წამიყოლიებენ საიდან სადა... ფიქრები,
ფიქრი ნავია,
მე მენავე ვარ... მენავე ხან ნიავქარია,
ნიავქარია;
მიმქრალ ლანდებად ედებიან ცის ყრუ სიზმრები
მიწას ღალიანს,
ისევ ღამეა,
არე უსასრულო ფიქრთა ოკეანეა...

ზოგჯერ ჩემივე თავს ვუსვამ კითხვას:
ცხოვრება ამდენ ტკივილად ღირდა?
გყავს დედა, რომელიც ლოცულობს შენთვის,
შვილები, ასე ძლიერ რომ გიყვარს,
სწორი, ვინც გხიბლავს,
სხვა რაღა გინდა?!

იქვე დგას ბავშვი

მახინჯდება ფასები,
კანონი,
აღმა-ხნული,
კაცთა მოდგმას შეესია ათასი რამ ვნება,
კარგი მაგრამ, იქვე თვალებგაფართოებული,
რომ დგას ბავშვი – სუფდა დაფა
და ყველაფერს ხედავს?!

ამეკვიატა ნაღვლიანი ათასი ფიქრი

გომბორი, მთები, გზა-შარაზე ავტომანქანა
ნიავივით მიჰქრის და მიჰქრის,
ხეთა ნაზ რტოებს მწვანე სამოსზე თეთრ მაქმანად
დასდებია ათასი ფიფქი,
თოვლს გზააბნეულს, რა უნდოდა შუა აპრილში,
ვის მოეკითხოს სჯა დამაფიქრი,
დაიზაფრა გაუშლელი ათასი კვირტი,
ხემ ნაყოფი მოისხას რითი?
ამეკვიატა ნაღვლიანი ათასი ფიქრი,
მანქანა კი მიჰქრის და მიჰქრის...

სხვამ ვით გაიგო, ნაღველი სხვათა

არის სიფვითრე და ფოთოლთცვენა,
ყველგან დუმილი,
ისევ დუმილი ხეთა და სხვათა,
დუმს დიდი ღელე,
არ იღებს ხმათა, გლოვა აქვთ მთათა,
ქალთა[1], უ... ქალთა
ხეობა რატომ არ იღებს ხმათა,
რადა აქვთ გლოვა
წვერთეთრა მთათა?
– სხვამ ვით გაიგო
ნაღველი სხვათა,
ქარმა ხეს ტოტი მოსტეხა იქნებ,
... წესია ქართა!

[1] ქალთა – ქალის სახელია

ბედო, არ იყო ბრმაი

კვარცხლბეკზე იდგა მკერდგავსებული ქალი,
ხელში ეჭირა ახალშობილი ყრმაი,
ამ სრულქმნილებათ ვინ უაუგოს თვალი,
ბედო, არ იყო ბრმაი!

* * *

„რა ცოტა წყალი ჰყოთვნის“ დაჭრილს
უკანასკნელ წუთს,
და მერე იქვე ჯარისკაცები ჩაიმუხლებენ,
მოიხდიან ქუდს...
ის იყო შვილი, ის იყო მამა,
ახლა – ცხედარი...
სიდან მოიტანს ქარი ქვითინს?
რამეთუ დედა, რამეთუ ცოლი –
ასე ნეტარნი,
არიან შორს, რუხ მთების იქით...

მამას

(მამულს იცავდა ქლუხორის უღელტეხილთან)

როგორც რტოები გაზაფხულზე, ძარღვებში მაშინ
გაკვირტულიყო
კაცურ ნაფიქრის საქმედ ქცევის ყველა საწყისი,
ცხრამეტის იყო...
თუმც გასწირა ყველა ოცნება, მაინც მოასწრო
უმთავრესი:
სანთლად აენთო დათალხულ მიწას და ნათებით
უმხურვალესით,
გზა გაუკვალა მირიადებს, ვით ბნელ ღამეში
სხივმა მთვარესი!
კაცთა სრა, ნგრევა, ნახანძრალი ხეების რტოთა
შეშლილი როკვა,
სიკვდილის ჯერი, ცად აჭრილი მესერშმიტებად,
მრავლობდა მტერი
და იგი მამულს აეფარა მკერდზე ტინებად,
ხვედრად ირგუნა
საძმო საფლავი, განა ხის ჯვართან სამუდამო
განაპირება,

შინ დარჩენილთა, უსასრული ლოდინი ქალთა,
არ დატირება,
მშვენიერია ლოდინი მათი, ვით დაპირება.
მოიცდიან რად?
ვლიან დრონი, წლების სიმრავლე ბავშვობის სევდას
ვერ აფერმკრთალებს,
მისი ასული, ახლა უკვე მასწავლებელი
ვეწვევი კლასებს,
ყმაწვილთა ცქერა გარდასულ დღეთა წარმოსახვას –
ათასგვარს ჰბადებს,
ფიქრი მაწვალებს: როგორი იყო მაშინ მამა
ცხრამეტი წლისა,
იქნებ ის ჰგავდა რომელიმე ჩემს ცელქ
მეთერთმეტეკლასელს?!

დედაჩემის ფიქრები

სხვა არაფერი დამრჩა მისგან,
ნაღველი რომ მომეძალება თითების სევდა
ამ ძველ სამკუთხა ბარათს ეხება,
ვინ გაახსენდა უკანასკნელ წუთს: ცოლი, დედა,
თუ ბავშვი ჩვილი, კნაჭაფვეხება,
ან იქნებ ისე სწრაფი იყო სიკვდილი მისი,
„ვით ტყვიის შეხება?!“

* * *

ავიკრიფე და წარსულს ჩავბარდი
ჩემი კორდებით,
ზამთარ-ზაფხულით,
აპრილითა და
თიბათვიანად!
ვერ დავრჩებოდი...
მე დახარჯული ვიყავ მთლიანად!



ვაზის სამამულე რქაო!

ღვინის საგვარისო დოქო,
დაცლილო,
ღვინით აღარ, მძიმე დარდით
ავსილო,
მამის თვალთა შუქო, ვაგლახ...
დავსილო,
გულო, დედის გულო იმედ-
მოსრილო,
ვაზის სამამულე რქაო –
მოჭრილო!

ზღვა ამშვიდებსო აღელვებულთ

ზღვა ამშვიდებსო აღელვებულთ,
მოვედი ზღვისად,
თვითონ რომ ბორგავს, ვით შეიძლოს
ნუგეში სხვისა?
ზვირთები ზვინად ასე ასულნი,
ჯერ მე არ მახსოვს,
ზღვაო, ვინ იცის მაგ ღელვაში
რა ბოღმას აქსოვ?!
მეტი სიშმაგის მოწმე გამხადე,
დაჰქროლე ქარო,
(შენი დარდი რა დიდი მეგონა,
გულდიდა ქალო),
ზღვა ამშვიდებსო აღელვებულთ,
მოვედი ზღვისად,
თვითონ რომ ბორგავს, ვით შეიძლოს
ნუგეში სხვისა?

– სწორედ ამითი! ეგოისტია
ბუნება კაცთა,
აუფერულებს საკუთარ სევდას,
წუხილი სხვათა!
ასეა ახლაც, უსასრული
ნაპრალი წყალთა
და მაინც ღელვას საოცარი
სიმშვიდე ახლავს!
ჰორიზონტს იქით ნისლიანი
ბურუსის ფარდა,
ღრუბლის ფთილებში უთავბოლო
თარეში ქართა,
ნისლებს რომ ჰფანტავს, მერე მრუმე
წვეთებად ისვრის
და არაფერი, არაფერი
ჰორიზონტს იქით...
ვიღელვო რითი?!

* * *

(ია ნანეიშვილის ხსოვნას)

იყო სიფრიფანა გოგონა, მუზების ასული,
ოცნებები ჰქონდა ცამდე ასული,
იის ფურცელივით ნაზი იყო, იად ხმობილი,
სევდაც დიდი ჰქონდა, ლექსად თხრობილი;
მერე იყო სივრცეებში მისი ხმის გაელვება,
მერე... ბედის ასე რიგ დაელმება;
მოვარდა ჟამი ფერმიხდით, მხუთავი ტკივილებით,
უნდო, უგულო, მომსრავი ბილილების,
სასო წარიღეს დღეებმა, უარსოდ მიმავლებმა,
მერე იყო სუნთქვის ისე მინავლება...
მერე... ფანჯრიდან შემოჭრილი ქარის შეკივლება,
წამის მარადისობასთან შეკირება!
ძირს დაცემული იის ბილილები, მიწის სევდა:
„ეს უკვე მერამდენე ანაბელ ლი[1]...“
ცრემლი მოძალდა...სასტიკია ფერთ ესრე ცვალება,
ო, როგორ მიმძიმს ეს გარდაცვალება!

1 ანაბელ ლი-ედგარ ალან პო-ს ლექსის ტრაგიკული გმირი გოგონა.



ქრონიკები საქართველოს უახლესი ისტორიიდან

(ამონარიდები)

*

მოიცდიან რად? ვლიან დრონი,
ცივნი, ხანაც ალზე უმხურვალესნი,
„მამული, ენა, სარწმუნოება“ –
მოზღვავდა ტალღა,
ქარმა შეწყვიტა ნისლში თარეში,
თავისუფლების სიომ მოჰბერა,
ამ მწყურვალებათ სიმხურვალეში!

*

აპრილმა აუშვა ათრები,
ჰაერი სისხლივით თბილია,
კბილებს ილესავენ ათთრები,
...სიავემ გზა მისხლივ მილია!

*

ქანცგადალეული გავიდა ივლისიც,
დარდი მომკლავს, დარდი დღევანდელობისა,
ის, რაც მაშინ იყო... იმისიც,
ჩემო გატანჯულო, მოიკრიბე სიმხნე,
სიბრძნე, ძალა თილისმის,
რომ აღარ გვეხილოს ბარით დაბარული,
ნიჩბით დაჩეხილი თბილისი!

*

ცას შეჰღაღადებდა მოწამეთა სისხლი,
ცრემლით ლტობილი მიწა საქართველოსი,
ცით იშვა ნათელი... და მოღელდა სუნთქვა
დამოუკიდებელი საქართველოსი,
დამოუკიდებელი საქართველოსი!

*

ვიმეორებ რაფიელ ერისთავის ლექსის სტრიქონებს:
„როგორც უფალი, სამშობლო, ერთია ქვეყანაზედა,“
ღმერთო, არ მოუშალო ჩემს ქვეყანას
„მრავალჟამიერი“ და „იავ მთაზედა!“

*

მაგრამ, ეშმას არ სძინავს,
ქვეყნის ერთობა ეჭვებს ვერ იტანს,
„ვინ ჭეშმარიტი გაიცთომილა,
ვის ცთომილება ეჭეშმარიტა!“

*

ჟამია დაჟამული, ქარცივი,
კაცი კაცს ერქინება ვაცივით,
ბოღმა უძღები გახდა ვარცლივით,
...ბარგანაობს მიწა მთვრალი კაცივით!

*

ამას მოჰყვა ძმათამკვლელი ომები,
ჟამი კაცის გამძლეობას სცდიდა:
დავკარგეთ აფხაზეთი: (გაგრა, სოხუმი,
ათონი, რიწა...)
სამაჩაბლო!
...ისედაც გოჯი გვქონდა მიწა!

გავცქერი ზეცას

გავცქერი ზეცას, ბურუსი ჰფარავს,
ხედვა ვერ ატანს მის მრუმე კარავს,
დაფლეთილ ნისლებს სიცივე ჰქარავს,
თუმც ზოგჯერ ელვა სიბნელეს ჰკვალავს,
მწუხარე ფიქრებს ეჭვები ჰკალავს:
ილურჯებს კვლავაც ის ლურჯი ზეცა,
ჯანღი რომ ჰფარავს?!

* * *

მძიმეა სევდა,
რომელიც ერის საწუხარიდან იღებს სათავეს,
...ვის ხელთაა
ჩვენი გადარჩენის სადავე?!

ვით ბალღი პატარა

ვით ბალღი პატარა, მტირალი ანთებულ ბუხართან,
კალთაში დიდედის,
მდგარი ბებიის, ამ ნამეხარი მუხის სურათთან,
თანდათან ვმშვიდდები,
წამიყოლიებენ სულ სხვა სამყაროში ფიქრები,
ფრთამალი კევრებით,
ფიქრები, ეს უცხო საუფლოს გიდები.

თქვენ კიდევ არ გძინავთ?

მყუდრო გალიაში ძილს რამე სჯობს განა?
უკვე შუაღამის ორი საათია,
ირგვლივ უკუნეთი წყვდიადია თანაც,
თქვენ კიდევ არ გძინავთ, ქალბატონო ანა?!

ცოლს უთქვამს

ბუხარში აშიშხინდა წვადი,
სუფრას შემოსხდომიან ბალღნი თუ დიდნი – ორ ბუდად,
შესწევნიათ ქალღმერთი დალი,
ფშავ მონადირეებს ირემი მოუკლავთ ქორბუდა;
ვაჟა სად არისო, უკითხავთ,
არაგვის პირას ზის, რაღაცას ჯღაბნისო,
– ცოლს უთქვამს!

გალაკტიონ ტაბიძეს

ჟამთა სვლა მალი, ო... ისე საოცრად მალი,
ვითარცა სრბოლა ლურჯა ცხენების,
ცხოვრება შენი – ჩანჩქერების რძისფერ ჩქერებით,
სევდა – მოწყვეტილ ყვავილთ ღერებით,
ბეთანიაში კი იების კდემა მარადი,
შენეული ლურჯი ფერებით.
შენ, უუნაზეს გრძნობათ მთოველი,
ირგვლივი შენი სათაყვანო გახდა ყოველი,
ფერიებს ღამით ეზმანებოდი,
ატმის ყვავილთა თრთოლას ვერსად ემალებოდი,
თუ ჟამი იდგა ფოთოლთცვენის,
დარდიანი, სარდაფში ღვინოს ეძალებოდი,
ჟამთა სვლა მალი, ო, ისე საოცრად მალი,
ვითარცა სრბოლა ლურჯა ცხენების...

ო... მაჩაბელო

ო... მაჩაბელო,
მადლიერია შენი ნაღვაწით დღეს საქართველო,
და მაინც უმძიმს:
რომ ვერ გაგქონდა იმხანად ლელო,
თანამედროვე
ავყიების რომ გქონდა რიდი, რად ვერ ხვდებოდი...
ასეთი დიდი,
რომ კაცუნები ყალბი პათოსით გაქეზებდნენ
მარტოდ ვნებისთვის,
სხვა რომ არა და...
მხოლოდ შექსპირის ქართულ ხმაზე ამეტყველება
გეყოფოდა უკვდავებისთვის!

სხვისი ჭკუის სწავლეგა რა იოლია

სხვისი ჭკუის სწავლება რა იოლია,
და თუ იოლია
კეთილისმდომელი ხომ შენცა გყოლია,
ვიცი, რომ გყოლია...
მაშ რატომ დაგებნა სავალი გზა შენი,
ჩემო მაგნოლია?

ერთი, ორი, ერთი – ნაბიჯები მწყობრი,
ოდნავ რიტმული და...
ვერავინ შეგამჩნევს სულის აგონიას
და თუ ყველაფერი ასე იოლია,
რატომღა ტირიხარ,
ჩემო მაგნოლია?!

რაა და... სევდა

დარბაზი, ხალხი, წუთი, რომელიც
სიცოცხლეს ხდის ლამაზს და ნეტარს,
ძახილი, ტაში,
სცენაზე ცეკვავს პატარა ბავშვი,
ბავშვი, რომელსაც დარბაზიდან
არ უმზერს დედა!

აღიარება, ძახილი, ტაში,
სიხარული, კიდე რა ნეტავ?
...რაა და სევდა,
სცენაზე ცეკვავს პატარა ბავშვი,
ბავშვი, რომელსაც დარბაზიდან
არ უმზერს დედა!

გადარჩებოდა გალესილ დანას პატარა ხბო

კაცმა თქვა: უნდა დავკლათო ეს ჭრელი ხბო,
არაო,
ქალის უარი სუსტი იყო (როს რასმე თმობ),
„აბალახეო მაშინ თავად!“
დადუმდა ქალი, არ უთქვამს „ხო!“
...გადარჩებოდა გალესილ დანას პატარა ხბო,
მწყემსად გახდომა შემძლებოდა რომ!
ხელადებში ღვინო ჩამოასხითო! – თქვა კაცმა,
მამრს ხალისს ჰგვრიდა მომავალი ნადიმი, თრობა,
ბიჭი ტიროდა ღობის ძირას, თვალები მწუხრით
ავსილი ჰქონდა, სლუკუნით უყვებოდა დედას:
როცა დაკლესო პატარა ხბო, სიკვდილის მერეც
სხეული მისი ფოთოლივით როგორა თრთოდა.
მერე აივსო აივანი ხალხით, ხმაურით,
ხორცის სუნი ქალს ბრუს ახვევდა, გულს ურევდა,
მაინც ღიმით მიმოდიოდა წვეულ სტუმრებთან,
სუფრა ღრეობდა: ვიღაც ჟამიერს გაჰკიოდა,
წვადიც კიოდა ალმოდებულ წითელ ქურებთან,
ბიჭი ღობის ძირს მიმჯდარიყო დაშლილ ურემთან,
ეჭვებაშლილი, ცხელ ცრემლებს ლამში ურევდა!

მანდილი

შუამთის ტყეში, დაბურულ ტყეში,
მაყვალს ჰკრეფს ქალი, პირიმზის დარი,
მახლობლად ქალის შეჩერდა რაში,
„მივალ და ვეტყვი“ – ჩურჩულებს ვაჟი.
ქარმა გაიტაცა გრძნობები, ნაზი,
ქალს ჩასჩურჩულა... გაიქცა ქალი,
მიჰყვება ვაჟი, ნიავზე მალი,
ნეტავ ვერ დაეწეოდეს... ვაი,
ბარდებმა მოსტაცეს მანდილი თავის,
გული ეტკინა, ცრემლებს ღვრის ქალი,
აიღო ვაჟმა მანდილი თეთრი,
მანდილი მისია – სურვილი ერთი,
მანდილი მისია, მისია, მისი,
მანდილი მისი და ქალი ვისი?
– არ ვიცი, არ ვიცი – ჩურჩულებს ვაჟი,
მოახტა რაშს და გაფრინდა რაში!

შროშანავ ტირი?

– ეს რა ხმა ისმის?
– რათუსოდიაა ღამის,
– შროშანავ, დგახარ
ვით მორცხვი ქალი,
შროშანავ მისმენ?
– სუ... ჭია-ჭია მაი!
ის რათუსოდიამ შთანთქა,
გრძნობად იდენოს ლამის,
– მითხარ რა გხიბლავს?
– იდუმალება ღამის!
მერე სიჩუმე წყდება,
ახმაურდება ქარი,
ორომტრიალში ბრუნავს,
გამხმარ თოთოლთა ჯარი,
ჰარმონიების აცმას
საღაც წაიღებს ქარი;
და რათუსოდია წყდება...
– შროშანავ ტირი?
– ჰო... ჭია-ჭია მაი!

წარმავალია ყოველი განა?

არ გეთანხმებით არა და არა!
ვიცი... არ გამოდგება წარსული ფარად,
მაგრამ... მასაც ხომ ჰქონდა თავისი ხანა
სიკეთით,
ლტოლვით,
ლურჯი იებით...
წარმავალია ყოველი განა?!
– რა საჭიროა ამოდენი ემოციები,
ქალბატონო ანა?!

***

ნეტავ მზის ათინათების მწყემსად ვშობილიყავ,
ქართა დარებრ, თავადაც განვზავდებოდი მასში,
უსათუოესი ფერების ჩქერი ვყოფილიყავ,
მიწის სევდას მალამოდ ავებნეოდი მაშინ!

თომას

ჩემს შვილთაშვილს

– ბები, ბები შეხედე ცას, მისმა დასავალმა
ფერთა შეკონება როგორ სხივებრ დაიფინა...
– როგორც გაასხივოსნა საქართველო იმ ხანად
სულო, სიბრძნეთ შეკონებით, მეფე დავითიმა!

– შეხე, ცას რომ შესევია მრუმე ნისლთა რემა,
ბები, ქარი ღრუბლებს ახლა საით ერეკება?
– საქართველოს მიჯნათ მიღმა, როგორც გადარეკა
ბევრჯერ მომხვდურთ ურდოები, მეფე ერეკლემა!

– ბები, „ვიღაცას რომ შია, ვიღაცას რომ სცივა,“
ვიღაცას რომ სტკივა, – არ ისვენებს თვალხატულა
თომა – მათ საშველად მზეჭაბუკი მოვა, მოვა?
– მზეჭაბუკი? მოვა სულო, უსათოოდ მოვა!

ვედრება

ქარო ნუ მოუქნევ ტორს,
იმ ცადაღერებულ რტოს!

ნ. ფ.

აჰა, ჯვარცმა ჩემი

აი, შედეგი ცთუნებათა ადამთ მოდგმათა,
უდაბურია და მწველი,
თქვენთვის ყოველთა, მისატევებელად ცოდვათა
აჰა, ესე ჯვარცმა ჩემი!

აი, ვენიდან ნაჟური, ლურსმნით ნაჭედისა,
მეწამულია და ცხელი,
თქვენთვის ყოველთა, ფერისცვალებისად სულისა
აჰა, ესე სისხლი ჩემი!

ზეცად ამაღლება იგი, ნუგეშად კაცისა,
ცხოველსმყოფელია, წრფელი,
თქვენთვის ყოველთა, სიცოცხლის არსში ჩაწვდომისად,
აჰა, ესე ლოცვა ჩემი!

„ვერცხლი, ვითარცა მიწაი ვიუნჯენ“

„ვერცხლი, ვითარცა მიწაი ვიუნჯენ[1]“...
„სხვათა სოფლის კიდეთა დაპყრობად“
ვეძიეო ხვედრი,
„ჟამი რაი, მეფობისაი წარვიდეს,
დიდებაი დაშრტდეს,“
შემიწყალეო ღვთისმშობელო, გვედრი!
ჟამი მზედ-ხმობილი, მეფობის შენი,
გარდავიდა, დავით!
ხიბლი ნატერფალ შენთა კი, უმეტეს
განდიდდის რამდენად...
ისე მაღალია ნამწვერვალევნი
შენი, მეფეო,
დიდებაი ვერ გექნების დაშრტდებად!

[1] თაყვანი ვეც.

წიწამურთან

წიწამურთან უბირთა ბრმა ქადილი,
სისინი, ტყვიისებრი ერთობ,
ილია ვარ ბიჭებო! – შეძახილი,
სივრცეს შემორჩენილი ექოდ;
მოძღვარის სიკვდილი – ერის სირცხვილი,
შეგვინდე, შეგვინდე ღმერთო!

უფალო, გვედრი

წარსულის ძველ დიდებაზე მოდუდუნე მტკვარი
შეერთოფერებია ნისლებს,
თბილისი, შავთელის „ხოტბათა შესხმას“ ატანილი,
ამო მოგონებებს ისევს,
უფალო, გვედრი, გამთლიანებული დაგვაბედე
ჩვენი ცა და მიწა, ისევ!

ქარო, ნუ მოუქნევ ტორს

ქარო, ნუ მოუქნევ ტორს,
იმ ცადაღერებულ რტოს!

ბედო, უმუხთლებ ნუ,
იმ ლაგამაწყვეტილ ულაყს,
ავი ელოდება თუ...
დედა გაუთავე უმალ!

*

ახალგაზრდული სიგიჟმაჟე გონარეული, ოდეს
შეშლილი მიჰქრის შეშლილ შარაზე,
გვედრი:
ღვთისმშობელო დედავ, გადააფარე შენი სიმშვიდე,
„სიკვდილის ყველა კარი დარაზე!“

* * *

ქვეყნად რომ ამდენი ღვარძლია,
არ იქნებოდეს ნეტავ,
ერთმანეთს ტყვიას ნუ ესვრით ბიჭებო,
...შინ გელოდებათ დედა!

* * *

ო, რარიგ მინდა ჩემო სულო, ჩემო ერთო,
ბედის ბედთან წილი იყარო,
ბინდში ნუ გახვალ, კაცი უგზო, უმისამართო,
მეგზურად არ გადაიყარო!

* * *

წუხელ ისეთი მარტოსული იყო ცა,
ქუფრ ღრუბლებში მიმქრალი მთვარით,
როგორც ოჯახი უერთმანეთო...
და მე ავტირდი:
ერთურთს უნდა ვუერთმანეთოთ,
ვუერთმანეთოთ!

ემიგრანტი დედის ვედრება

გაუჭირდა საქართველოს...
ქართველი დედები გავიბენით
ყოფის მძევლებად,
ოჯახების სარჩენად, უცხოეთს
დავალთ მხევლებად!
 გვდევს, მოკვეთილივით გაწირული,
 ეულობისათვის განწირული,
 ნოსტალგიაში ჩაძირული გული!
... ვერა ვიგუოთ,
აკივლდებიან ჩვენი ფესვები,
უცხო მიწას ვერ ჩავეფესვებით,
ვერ ჩავეფესვებით!
არად გვიღირდეს არცა შარბათი,
არცა საგანძე და არცა ქნარი,
ვერ გვეხლებოდეს შუბლზე თუკი,
ჩვენი მამულის წვიმა და ქარი!
კრთის შორით შუქი...
ვინ დაუსაზღვროს იმედს მიჯნა,
.....

ან ბედის ბორბალს – წესი ბრუნების...
ძმებო, მოძმენნო,
ერო და ბერო, დიდო და მცირევ,
დარბაისელნო, თუ შმაგნო ბუნებით,
გამთლიანდით! ო...
გადაარჩინეთ საქართველო!
არ მოგვიშალოთ ხვედრი და არე,
შინ დაბრუნების!

მოძღვარი

(ამონარიდები პოემიდან)

*

მდუმარე საყდრის თავანს დაადგა ნათელი,
შემოეძარცვა საფარი გვიმრისა,
„ამიერ, არავინ აღანთის სანთელი
და დასდგის ქვეშე ხვიმირისა,
არამედ, ზედა სასანთლესა დასდგიან,
რამეთუ ნათობდეს ყოველთა,“
იმედი მიუბოძოს დარდიანთ,
უსასოოთ, შვების არ მქონეთა,
საკურთხეველს სანთლის ნაღვენთები
შვების ცრემლებივით დასდიან,
ლოდინით დაღალულ ტაძრებში
სანთლები ზედა სასანთლესა დასდგიან!

*

ყოველ ცისმარე, რიჟრაჟი როცა
ცის კაბადონს მოაბილილებს,
განთიადის ლოცვით მადლმოსილი
შეუყვები საღვთო ბილიკებს,

ცასა და მიწას საქართველოსას
შეავედრებ არსთა გამრიგეს,
გაითავისებ კაცისა და ერის ტკივილებს
და ლოცვის ძალას სალბუნებად მიმოარიგებ!

*

მუდამ შუქმთოვარს,
ზოგჯერ მზერა მოგიჩანს ცრემლად,
ზოგ-ზოგები
როდესაც დღესაც ჰყიდიან ქრისტეს
ოცდაათ ვერცხლად!
უსაზომოა ტკივილი იგი, მძიმეა ერთობ
და მაინც იტყვი:
„რამეთუ არა იციან რასა იქმან,
შეუნდეო ღმერთო!“
.....
შემდეგ ზენას აღაპყრობ მზერას და დიდხანს
ჰვედრი:
„შენ შემძლევ ყოვლის,
განგვასპეტაკეო უფალო, ვითარცა თოვლი!“

აღიმართე!

მდინარებს ჟამი, მოიმედეა
                    გული კაცისა,
ბოლო კეთილის სულ მომლოდეა,
აღიმართე ქართული სულის
                    გენო და მოდგმავ,
„შერკინება ნათლის და ბნელის,
                    ხომ ბოლომდეა!“

ეს წუთისოფელი

ეს წუთისოფელი სულ მაორომტრიალებს,
ცხოვრების თქეშსა და ზვირთ-ზვინებს მისევს,
        გავუძლებ ტიალებს, ღამით მაინც
        გვირილები მესიზმრება ისევ!

ალაღებული მერცხალის ზე აჭრა მხიბლავს,
შემოდგომას ფოთოლთცვენა რომ სტკივა, ვიცი,
        გაქცეულ მტერს ქვას არ დავადევნებ,
        წაქცეულ კაცს – სიცილს!

ჩემეული ლტოლვების საუფლოში ვუფლობ,
თუმც წუთისოფელი სულ მაორომტრიალებს,
        ლექსი გამიქარვებს ურვასა და
        იარებს... გავუძლებ ტიალებს!

აღსარება

ბარტყებსა ვზრდიდი, მთელი ცხოვრება
შევალიე სარჩოს საშოვარს,
მაგრამ უფალო ცოდვა მაქვს დიდი:
ყველა ნაყოფი ვერ იტვირთა დედის საშომან!

საცხოვარისი რაღაც მქონია,
რამდენი იყო მცირედ მყოფელი,
წუთისოფლის ხიბლმა ჩამიყოლია,
ვერ გავუყავ მათ გული თხილის, გასაყოფელი!

სასთუმალს ვედექ, ვუვლიდი დედას,
არვინ მყოლია ბრალის მდებელი,
თუმც, უკმარობის სულ დამდევს სევდა,
მშობელს კუთვნილი ვერ მივაგე, მისაგებელი!

სიკეთისაკენ თუმც მქონდა ლტოლვა,
არა ვყოფილვარ უნდო და ფლიდი,
მაგრამ უფალო, აქაც მაქვს ცოდვა:
მადლს ვაკეთებდი საკეთებელს და მერე ვთვლიდი!

მაგრამ ვინა თქვას მარადისთან საწუთროსანი,
თუმც არაოდეს ვყოფილვარ დროის
უქმად მფლანგავი, ვერ დავიხარჯე,
...ზენამ რომ მომცა დასახარჯავი!

და ამ ცოდვათა მრავალჯერობით
შენს სამსჯავროში, შენს ფერხთ მყოფელი,
მიტევებას გთხოვ – ყოველდღიურ ვნებათ ჭიდილში
შემომეძარცვა წუთისოფელი.

ჟამშეძარცული, ვდგავარ უგვანო,
გარს, სივრცეები მომკივიან – უკიდეგანო:
ამაოდ დაშვრა, ამაოდ დაშვრა...
ამაოდ დაშვრა!
...შემინდე მაშვრალს!

სარჩევი

წინათქმა 3

წერილი ლალი მასწავლებელს 4

პასუხი ლალი მასწავლებლისგან 5

ცოტა მზე 7

ლაღი მეოცნებე 8

სთქვი, ღრუბლის ფთილავ... 9

მაინც ავმაღლდები! 10

რომ, სივრცეებში გავბნეულიყავ 11

რა ესმით ქარებს 12

„მთვარე ღრუბლებმა დაატყვევეს“ 13

არ შემიძლია ღვენთა უალო 14

*** (რამეთუ) 14

ეს მე ვისურვე 15

პოეტებმა მთხოვეს კიდევ წამეკითხა
ლექსები 15

მზის ჩასვლა ზღვაზე 16

ავწიე ჭიქა 17

ქეთევან წამებული 18

ხმაურით, ღრენით 21

ბურა ღრუბლები 23

დადგება ხოლმე ცხოვრებაში წუთებ მძიმე 24

ყველა ელოდა მეხთატეხას 25

ქიმიკოს გოგონას 26

არის ბიჭი ნუკრისთვალება 27

სადღეგრძელო 28
ო, ღირდა... ღირდა! 29
მე დავიბადე ველთა მწუხრისას 34

სიყვარული 35

სიყვარული ეს ცის კარია 36
ცისარტყელას მოვტაცებ ფერებს! 37
კდემა დედათა! 38
წამწამები რატომ დახარეს? 42
* * * (რაო, ვინ არის) 42
და აშრიალებს შავ ფოთლებს ქარი 43
* * * (მივდივარ) 43
როს ღამე იწყებს გაფერმკრთალებას 44
ისიც ქარია ვითომ! 45
ეს ღამე ჩემთვის იქნება შლეგი 46
მე მეცვა ყვითელი კაბა 47
პაემანი 48
რომ სილაში ფრთამოტეხილ ჩიტებს
ხატავდე (იას)... 49
თამთას (ჩემს ქალიშვილს) 50
ელენეს (ჩემს შვილიშვილს) 51
სოფიკოს (ჩემს შვილიშვილს) 52
* * * (ვ-ს) 53
ხარ-ირემი 54
ვიცი დაა... რად ამბობს?! 55
ბინის სხვა და სხვა პოლუსზე სახლობთ 56

* * * (ეს სიყვარულია, თუ შეშლილის აგონია) 56
* * * (ავარდისფრება ღაწვებისა)..... 57
გარდასულ დროთა აკორდებია? 58

სევდა 59

მთვარე ნავია 60
? (ზოგჯერ ჩემივე თავს ვუსვამ კითხვას)..... 61
იქვე დგას ბავშვი..... 61
ამეკვიატა ნაღვლიანი ათასი ფიქრი..... 62
სხვამ ვით გაიგო, ნაღველი სხვათა 63
ბედო, არ იყო ბრმაი 64
* * * („რა ცოტა წყალი ჰყოფნის“ დაჭრილს) 64
მამას (მამულს იცავდა ქლუხორის
უღელტეხილთან) 65
დედაჩემის ფიქრები 67
* * * ავიკრიფე და წარსულს ჩავბარდი..... 67
ვაზის სამამულე რქაო! 68
ზღვა ამშვიდებსო აღელვებულთ..... 69
* * * (ია ნანეიშვილის ხსოვნას)..... 71
ქრონიკები საქართველოს უახლესი
ისტორიიდან (ამონარიდები)..... 72
გავცქერი ზეცას 75
* * * (მძიმეა სევდა) 75
ვით ბალღი პატარა..... 76
თქვენ კიდევ არ გძინავთ?..... 76
ცოლს უთქვამს..... 77

გალაკტიონ ტაბიძეს 78
ო... მაჩაბელო 79
სხვისი ჭკუის სწავლება რა იოლია..... 80
რაა და... სევდა 81
გადარჩებოდა გალესილ დანას პატარა ხბო 82
მანდილი 83
შროშანავ ტირი?..... 84
წარმავალია ყოველი განა? 85
*** ნეტავ, მზის ათინათების მწყემსად ვშობილიყავ.... 85
თომას (ჩემს შვილთაშვილს)..... 86

ვედრება 87
აჰა, ჯვარცმა ჩემი..... 88
„ვერცხლი, ვითარცა მიწაი ვიუნჯენ“ 89
წიწამურთან..... 90
უფალო, გვედრი 90
ქარო, ნუ მოუქნევ ტორს 91
* * * (ახალგაზრდული სიგუმაუე)..... 91
* * * (ქვეყნად რომ ამდენი ღვარძლია)..... 92
* * * (ო, რარიგ მინდა) 92
* * * (წუხელ ისეთი მარტოსული იყო ცა) 92
ემიგრანტი დედის ვედრება 93
მოძღვარი (ამონარიდები პოემიდან) 95
აღიმართე! 97
ეს წუთისოფელი..... 98
აღსარება 99